# მეგობრობის დაუვიწყარი დღეები

## საქართველოს დღეები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე

**17 დეკემბერს** ქვეყნის მთავარ გამოფენაზე მოეწყო მშრომელთა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის 1982 წლის გამარჯვებულ საწარმოო კოლექტივებს — ხუთწლედის მარჯვენაფლანგელებს.

საქართველოს დელეგაციის წევრები მიიწვიეს ვარსკვლავთა ქალაქში — მოსკოვის ოლქის ერთ-ერთ თვალწარმტაც კუთხეში. ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მომზადების ცენტრის მასპინძლებმა სტუმრებს თავიანთი ძნელი პროფესიის „საიდუმლოებანი" გააცნეს.

ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელში შეხვდნენ უცხოელ სტუდენტებს და ასპირანტებს. ეს შეხვედრა, რომელიც მოაწყო საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირმა, მოვლენა გახდა. ამით დამთავრდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს სს რესპუბლიკის დღეების პროგრამა.

18 დეკემბერს საქართველოს სს რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე მეთაურობდა, თბილისში დაბრუნდა.

მეგობრული შეხვედრები, გულახდილი საუბრები, გამოცდილების საქმიანი გაზიარება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში საბჭოთა საქართველოს იუბილესწინა პატაკის მუდმივი თანამგზავრი იყო.

სსრკ
60

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 243
(7304)

21 1982 წ.
დეკემბერი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

# ჩემპიონები ყველა რესპუბლიკიდან

**საბჭოთა** კავშირის ხალხთა ერთიანი, დიადი თანამეგობრობის შექმნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ფიზკულტურის განვითარებისათვისაც. სპორტი, რომელიც ხალხისთვის ხელმისაწვდომი გახდა, სოციალიზმის პირობებში სწრაფად განვითარდა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენი ახალგაზრდობის ყოველმხრივი აღზრდის საქმეში.

ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის ამაღლებაში ყველა მოძმე რესპუბლიკაში, სადაც ოქტომბრის რევოლუციამდე სპორტი მხოლოდ მდიდრების პრივილეგია იყო, დიდი როლი შეასრულა საკავშირო სპარტაკიადებმა (რომელთაგან პირველი 1928 წელს გაიმართა) და 1931 წელს შემოღებულმა მშთ-ს საკავშირო კომპლექსმა, რომელიც საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის საფუძველი გახდა.

ფიზიკური წრთობის წყალობით შეძლეს საბჭოთა ადამიანებმა განეხორციელებინათ ომამდელი ხუთწლედები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს განვითარებას. ფიზიკურმა წრთობამ შეუწყო ხელი საბჭოთა ადამიანებს გაემარჯვნათ დიდ სამამულო ომში და აღედგინათ ომის შემდეგ ჩვენი სახალხო მეურნეობა.

1952 წლიდან საბჭოთა სპორტსმენებმა დაიწყეს ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობა და ამ უდიდეს საერთაშორისო შეჯიბრებებში დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს. მრავალეროვანია საბჭოთა ნაკრები გუნდები სპორტის ყველა სახეობაში. თითოეული ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები იყვნენ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორები.

მთელი მსოფლიო იცნობს ტანმოვარჯიშე ა. დიტიატინს (რსფსრ), უროს მტყორცნელს უკრაინელ ი. სედიხს, ბელორუს ნიჩბოსანს ვ. პარფიონოვიჩს, ესტონელ მხტომელს ი. უუდმიაეს, ლიტველ მოცურავეს ლ. კაჩიუშიტეს, ძალოსნებს ყირგიზელ კ. ოსმანალიევსა და სომეხ ი. ვარდანიანს.

სახელოვან სპორტსმენთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. დავასახელებთ მხოლოდ გასული სპორტული კვირის გმირებს.

18 დეკემბერს სსრ კავშირის თასზე ძალოსანთა შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მინსკელმა ლეონიდ ტარანენკომ. 110 კგ წონის ათლეტთა კატეგორიაში მან ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — აიტაცა 196 კგ და ორჭიდის ჯამში 435 კგ დააგროვა.

19 დეკემბერს კი ზემძიმე წონის ათლეტთა ასპარეზობაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა მოსკოველმა ვლადიმერ მარჩუკმა. მან აჰკრა 260 კგ, რაც აბსოლუტური რეკორდია: ამ წონის შტანგა ჯერ არც ერთ სპორტსმენს არ აუწევია.

მარჩუკმა 1,5 კგ-ით გააუმჯობესა კიეველი ა. პისარენკოს მსოფლიო რეკორდი. (ეს უკანასკნელი ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა). ორჭიდის ჯამში გამარჯვებულმა 450 კგ დააგროვა, რაც მეორე მიღწევაა ძალოსნობის ისტორიაში.

— ჩემი უახლოესი ამოცანაა, — თქვა ვლადიმერმა, — გავაუმჯობესო მსოფლიო რეკორდი ორჭიდის ჯამში. ანატოლი პისარენკოს დახმარებით დავხვეწე ატაცის ტექნიკა, რომელიც ხშირად მღალატობდა.

ამჟამად ამ მოძრაობაში ჩემივე რეკორდი გავიმეორე — 190 კგ. ჩემთვის მომავალი წლის მთავარი სტარტია სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა.

მართალია წლევანდელ ტურნირში საბჭოთა ძალოსნების ლიდერთა უმრავლესობა არ მონაწილეობდა, მაგრამ შედეგები მაინც შთამბეჭდავია. „იზმაილოვოს" სპორტის სასახლის ფიცარნაგზე 5 მსოფლიო და 4 საკავშირო რეკორდი დამყარდა. წლეულს საბჭოთა ათლეტებმა 41-ჯერ შეიტანეს ცვლილება მსოფლიო მიღწევების ცხრილში.

დღემდე წყალბურთელთა შეჯიბრების ყველა პრიზს მოსკოველი სპორტსმენები ეუფლებოდნენ, თუმცა ჩემპიონატებში კარგად ასპარეზობდნენ ალმა-ათის, თბილისის, ბაქოს, კიევის გუნდები.

ამ დღეებში მოსკოვში, წყალბურთელთა საკავშირო თასის გათამაშებაში საპატიო პრიზი ალმა-ათის დინამოელებს გადაეცათ.

გეტებორგში ევროპის თასის გათამაშების სამდღიანი შეჯიბრება სსრ კავშირის მოცურავე ვაჟთა ნაკრები გუნდის გამარჯვებით დამთავრდა. საბჭოთა ქალთა ნაკრები III ადგილზე გავიდა.

სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ვლადიმერ სალნიკოვმა კვლავ დაამტკიცა მაღალი ოსტატობა. 400 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ნაჩვენები მისი შედეგი 3.42,96 და 14.37,60 სჯარბობს მსოფლიო მიღწევებს „მოკლე" აუზებისათვის. (საკდესი).

### საქართველოს აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში



# ბერუაშვილი აბსოლუტური ფალავანია

**მეორე** წელიწადია, საქართველოს აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში ახლებურად ტარდება. მონაწილენი ჯერ ოთხ წონით კატეგორიაში ასპარეზობენ, გამარჯვებულები კი ფინალურ ჯგუფს ქმნიან, სადაც თამაშდება აბსოლუტური პირველობა. წლევანდელ ასპარეზობაში, რომელმაც მრავალრიცხოვან აუდიტორიას მოუყარა თავი, 28 ფალავანი ჩაება, მათ შორის ბევრი ტიტულოვანი სპორტსმენიც იყო. მალხაზ ბერუაშვილს, ტარიელ მუთოშვილს, ოთარ ყურაშვილსა და სხვებს ადრეც არაერთხელ უსახელებიათ თავი ამ რანგის შეჯიბრებებშიც და საკავშირო სარბიელზეც. ერთი სიტყვით, ფავორიტები საკმაოზე მეტი იყვნენ, მაგრამ აბსოლუტური პირველობა გამორჩეული შეჯიბრებაა და იოლად არავინ ყრის ფარ-ხმალს. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ მთავარ ფინალში საშუალო წონის მოჭიდავე გავიდოდა...

თუმცა, მივყვეთ თავიდან.

**საშუალო წონა.** პირველი ორთაბრძოლები თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს თბილისელმა გურამ გუგავამ, მცხეთელმა აბესალომ წიკლაურმა, თელაველმა გოჩა ჯველაურმა და თბილისელმა ემზარ ბერბერაშვილმა. ამასთან, ჯველაურმა მეტოქე წმინდად დაამარცხა, მან ნახევარფინალური შეხვედრაც (ბერბერაშვილთან) ვადაზე ადრე მოიგო, გუგავამ კი მცირე უპირატესობით აჯობა წიკლაურს და ასევე ფინალში გავიდა. გადამწყვეტი შეხვედრა დიდხანს არ გაგრძელებულა — ჯველაურმა ამჯერადაც არ უღალატა „ტრადიციას" და მეტოქე ბეჭებზე დასცა. **საშუალო წონაში გამარჯვებულს თელაველ გოჩა ჯველაურს ანზორ კიკნაძის სახელობის პრიზი გადაეცა, მეორე ადგილზე გასულს — შაშო ვერელისა.**

(დასასრული მე-2 გვ.).

• • •

**სურათებზე: თბილისის სპორტის სასახლე. მიმდინარეობს საქართველოს აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში; ფალავანთა ფალავანი მ. ბერუაშვილი.**

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# ჯილდოები საბჭოთა სპორტსმენებს

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა, რომელიც სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მოწვევით მოსკოვში იმყოფება, 19 დეკემბერს საკავშირო სპორტკომიტეტში ოლიმპიური ორდენები გადასცა გამოჩენილ საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს ელენა მუხინასა და ლიუდმილა ტურიშჩევას. მათ ეს ჯილდოები ოლიმპიურ მოძრაობაში აქტიური წვლილისა და სპორტის კეთილშობილური იდეალებისადმი ერთგულებისათვის დაიმსახურეს.

ლუჟნიკის სპორტის სასახლეში „იზვესტიის" ტურნირის საპატიო სტუმარმა სოკ-ის პრეზიდენტმა ხ. ა. სამარანჩმა მსოფლიო ჰოკეის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპატიო ვიმპელი გადასცა სსრ კავშირის ჰოკეის ფედერაციას.

ამავე დღეს სსრ კავშირის სპორტკომიტეტში სოკ-ის პრეზიდენტ ხ. ა. სამარანჩსა და სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ს. პავლოვს შორის გამართულ მოლაპარაკებაზე განიხილეს საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის აქტუალური საკითხები. (საკდესი).

# ვაჟკაცობისა და სიჩაუქის ძირძველი ბალავარი — ჭიდაობა ჩვენი ქართული!



# ბერუაშვილი აბსოლუტური ფალავანია

დასასრული

**ქვემძიმე წონა.** აქ გამარჯვებას ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონს არჩილ წიკლაურს (მცხეთა) უწინასწარმეტყველებდნენ. მართალია, წიკლაურმა 54 წამში დაამარცხა პირველი მეტოქე, მაგრამ თელაველ გივი ბაბილაშვილთან ვერაფერი გააწყო და შეჯიბრებას გამოეთიშა. **ბაბილაშვილის წარმატება შემთხვევითი რომ არ იყო, ფინალშიც დადასტურდა, როცა ჯემალ მეძღლიშვილს მოუგო და ზაქარია ბაკურაძის პრიზს დაეუფლა. მეძღლიშვილმა კოსტა მაისურაძის სახელობის პრიზი დაიმსახურა.**

**მძიმე წონა.** აქ დავით ხიზამბარელისა და კულა გლდანელის სახელობის პრიზები გათამაშდა. ფავორიტად, რა თქმა უნდა, საქართველოს 1980 წლის აბსოლუტური ფალავანი, თბილისელი **ტარიელ მუთოშვილი** ითვლებოდა. პირველი შეხვედრა მან იოლად მოუგო ხაშურელ გურამ ლომიძეს, მომდევნო ორთაბრძოლებში დაამარცხა თბილისელი ელგუჯა მურადაშვილი, ახმეტელი ნოდარ დავითაშვილი და I ადგილი დაიკავა.

**ზემძიმე წონა.** ყველაზე ძლიერმა შემადგენლობამ ამ წონით კატეგორიაში მოიყარა თავი. კასპელები თავიანთ ვეტერანებზე — ოთარ ყურაშვილსა და ნოდარ ნუგზარიშვილზე ამყარებენ იმედებს. ქარელის ღირსებას იცავდნენ მალხაზ ბერუაშვილი და ელდარ ელიაშვილი. ბერუაშვილი პირველ წრეში იოლად გაუმკლავდა თავის მეტოქეს — საგარეჯოელ ტარიელ გზირიშვილს, მაგრამ ნახევარფინალურ (ნუგზარიშვილთან) და ფინალურ (ყურაშვილთან) შეხვედრებს დიდი ენერგია შეალია, საბოლოოდ, მან შეძლო გამოცდილ მოწინააღმდეგეთა დამარცხება და ვაჟკაცური ჭიდაობით მაყურებელთა სიმპათიაც დაიმსახურა. **ბერუაშვილს არსენ მეკოკიშვილის სახელობის პრიზი გადაეცა.**

ვიდრე მთავარი ფინალური შეხვედრები დაიწყებოდა, სპორტის სასახლის სარბიელი ვეტერან ფალავნებს დაეთმოთ. გულშემატკივრები ტაშით შეხვდნენ **ზაქარია ელერდაშვილსა და ვალერიან სისუაშვილს, გულიჯან სულაძესა და ბეჟან ხარაძეს.**

და აი, გადამწყვეტი ორთაბრძოლები. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ცალკეულ წონით კატეგორიებში გამარჯვებულები. მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: ჯველაური — ბაბილაშვილი, მუთოშვილი — ბერუაშვილი. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ჯველაურმა საშუალოწონოსანთა შეჯიბრებაში სამივე შეხვედრა ეფექტურად მოიგო, ამჯერად კი დაღლილი ჩანდა. ორთაბრძოლის მიწურულს ჯველაურმა მაინც შეძლო ერთადერთი ქულის მოპოვება, რამაც მას გამარჯვება მოუტანა. ბერუაშვილ-მუთოშვილის შეხვედრაში კი მეტოქეებმა საერთოდ ვერ მოახერხეს ქულის აღება. აქტიურობისთვის გამარჯვება ბერუაშვილს მიენიჭა.

**ფინალის ფინალი** — შეიძლება ასე ეწოდოს ბერუაშვილ-ჯველაურის ორთაბრძოლას, რომელსაც უნდა დაესახელებინა საქართველოს აბსოლუტური ფალავნის ვინაობა. ეს შეხვედრა წუთნახევარში დამთავრდა. მართალია ჯველაური თავიდან აქტიურობდა, მაგრამ გამოცდილებამ და ძალამ მაინც თავისი გაიტანა: **ბერუაშვილმა ეფექტური ფანდით ძირს დახცა მეტოქე და წმინდად გაიმარჯვა. საქართველოს 1979 წლის აბსოლუტურმა ფალავანმა მეორედ მოიპოვა ეს საპატიო წოდება და ხანდრო კანდელაკის სახელობის პრიზი.**

— ახლა უფრო გამიჭირდა გამარჯვების მოპოვება, — ვიდრე სამი წლის წინ, — ამბობს ფალავანთა ფალავანი, — წლევანდელ შეჯიბრებაში არაერთი ძლიერი მოჭიდავე გამოდიოდა. ბევრ მათგანს ადრეც შევხვედრივარ, მაგრამ საქართველოს ფალავნობაზე ყველა განსაკუთრებული შემართებით იბრძვის. მე ბევრი მსმენია საქართველოს გამოჩენილ ფალავნებზე და ვიცი, რომ ეს გამარჯვება დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. რამდენიმე წელიწადია ძიუდოში გამოვდივარ და შევეცდები გავამართლო საქართველოს ფალავნის სახელი.

**ბ. ელგუჯაური.**



შეჯიბრების საზეიმო გახსნის ცერემონიალზე (ზემოთ); ფალავნები ფალავნობენ.

# დაუკარით, მადლიანო!

**სპორტის** მოყვარულები ამ სამეულს კარგად იცნობენ, რადგან მეზურნეთა დასტის გარეშე წარმოუდგენელია ქართული ჭიდაობა. მათ სასახლის კულისებში შევხვდით. შეჯიბრების დაწყებამდე ჯერ საკმაო დრო იყო, მაგრამ თადარიგი უკვე დაჭერილი ჰქონდათ — ერთხელ კიდევ ამოწმებდნენ ინსტრუმენტებს. მათ ენაზე ამას „იარაღის გაწყობა" ჰქვია.

ხომ არ ღელავთ მეთქი, რომ ვკითხე, ვღელავთო, მაშ, — ერთხმად მომიგეს. როცა გაიგეს, რომ მათზე გაზეთში უნდა დამეწერა, უფრო გამოცოცხლდნენ — დაწერე, დაწერე, — ერთხმად თქვეს და მოლოდინით შემომცქეროდნენ, მ. ტოკრიშვილს მკერდზე „სპარტაკის" ნიშანი შევნიშნე. ეგ რა არის? — ვკითხე ძია მიხას, — „საპატიო ვეტერანის" ნიშანიაო. თავადაც ძველი მოჭიდავე ყოფილა. სადღა არ გამოსულა ჭელლობაში, მერე დოლზე დაკვრა უსწავლია, და დავით გოცირიძესთან და ოვანეს ბადალიანთან ერთად ეს დასტა შეუკრავს. აი, უკვე რამდენი წელიწადია პირნათლად და დიდი სიყვარულით ემსახურებიან ეს მოხუცები ქართულ ჭიდაობას.

— ძველად უფრო კარგი ჭიდაობა იყო თუ ახლა? — გამომწვევი კითხვა დავუსვი.

— ახლა, შვილო, ქულისთვის იბრძვის უმეტესობა, მაშინ კი ლამაზი ილეთი უფრო ფასობდა. უფრო ლამაზი სანახავიც ამიტომ იყო. — არ დაუყოვნებია პასუხი დავით გოცირიძეს.

— გამოდის, რომ ახლა აღარ გვყოლია ნაღდი მოჭიდავეები.

— რატო, კაცო, ჩვენ ამას კი არ ვამბობთ. უმეტესობა მეთქი, თორემ... მუთოშვილი, ბერუაშვილი, გზირიშვილი, ნუგზარიშვილი განა ცუდად ჭიდაობენ? ანდა, აილე ბერიაშვილი, გოცირიძე, კახაბრიშვილი — ისინიც ხომ ქართულს ჭიდაობდნენ და მერე გაითქვეს საქვეყნოდ სახელი სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში. ასე რომ, არიან, როგორ არ არიან, მაგრამ გვინდა კიდევ უფრო კარგები გვყავდნენ...

ამასობაში შეჯიბრების დაწყების დროც მოვიდა. მოჭიდავეები ალლუმისთვის მოეწყვნენ. მათ ომახიანი საჭიდაოთი წინ წარუძღვა დასტა. მთელი საღამო ისმოდა მადლიანი ქართული საჭიდაო თბილისის სპორტის სასახლეში...

**უ. პიპინაძე.**

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე:** ახმიანდა მადლიანი ქართული საჭიდაო.



შესვენების დროს ბიჭებმა ლახტი გააჩაღეს; ქართული ჭიდაობის ვეტერანები — ზ. ელერდაშვილი (მარცხნივ) და ვ. სისუაშვილი; ფინალური ორთაბრძოლაც დამთავრდა — საერთაშორისო არბიტრმა შ. ზუკაკიშვილმა მაყურებელს წარუდგინა საქართველოს 1982 წლის აბსოლუტური ფალავანი მ. ბერუაშვილი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# გახსოვთ, ვერელებო?!

**ჩვენი** გაზეთის რედკოლეგიის სხდომაზე, სადაც ქართულ ჭიდაობაში აბსოლუტური ფალავნობას ჩატარების ამბებს ვიხილავდით, ვიღაცამ ასე დასვა საკითხი: ქორქია ვერელია, ამ უბანში მუდამ მისდევდნენ ქართულ ჭიდაობას, ამიტომ შეჯიბრების შემდეგ მანაც გაგვიკეთოსო ერთი პატარა წერილი.

**ვერელი!** ეს წოდება, კაცმა რომ თქვას, ბევრს ავალებს თბილისელ ადამიანს.

მე კარგად მახსოვს როგორ ჭიდაობდნენ ვერაზე. მართალია, ჩემს დროს აქ უკვე აღარ იყო განთქმული „კრუგი" ფიქრის გორაზე, აღარც სამხედრო გზის დასაწყისში მყოფ რესტორნებში „ედემსა" და „მონ პლეზირში" იკრიბებოდნენ ჭიდაობის მოტრფიალენი, მაგრამ ის კი მახსოვს, ვერის ბაღში, სატივოზე, „სემიონოვკაზე", ვაკეში როგორ იყრიდნენ თავს მოჭიდავეები, იყო დოლის გრიალი, ზურნის ჭყივილი, გულშემატკივართა ფორიაქი და გაუთავებელი ლაპარაკი იმაზე, რომ ვინ ვის მოუგო, ვინ წააქცია, ვინ წააქციეს, ალალი თუ იყო ჭიდაობა და სხვადასხვა...

რედკოლეგიის გადაწყვეტილება კანონია, რა მექნა, ამიტომ მაშინვე მივაშურე ჩემს მეგობარს, ასევე ვერელ კაცს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს **გოგი გელოვანს.** ჭიდაობისა საყველპურო მცირე რამ მეც გამეგება, მაგრამ გოგი გელოვანი ამ საქმეში დიდი ავტორიტეტია, ყველაფერი კარგად ახსოვს, ყველაფერში ჩახედულია, გაშინაურებული კაცია ჭიდაობის წრეებში და მასზე უკეთესს, აბა, ვის ვნახავდი.

არ იფიქროთ, რომ მე და გოგი გელოვანი ისეთი უიმედო ბებრები ვიყოთ, რომ გვახსოვდეს კულა გლდანელი და ნესტორ ესებუა, დავით ხიზამბარელი და სანდრო კანდელაკი, კოსტა მაისურაძე და იოსებ ცერაძე, მიხა ქურხული და ირაკლი ვაჩნაძე, მაგრამ ბევრი რამე ჩვენც დაგვეჯერება, ბევრი რამ ჩვენც გვინახავს. გვინახავს, თუნდაც ძმები შაშო და გიორგი ვერელები, არსენ მეკოკიშვილი, კვახსოვს ნაკასაშვილი, ნათელაშვილი, ბაკურაძე, ძმები ნინიაშვილები, ონაშვილი, გზირიშვილი, შოთა ესებუა, კაციაშვილი, ბალავაძე, ანზორ კიკნაძე და მრავალი სხვა.

დიდი ყურადღებით ვუსმენდით უფროსებს, რომლებიც გვიყვებოდნენ რა მაგრა ჭიდაობდნენ „იტალიურ ბაღში", „გრიშუას ბაღში", „კნიაზების კრუგში", ხოჯევანქში, ავლაბარში, ხუდადოვზე, ციციშვილის მამულში, გვაინტერესებდა ეს საქმე, ყურადღებით ვუსმენდით მოხუცებს და ყველაფერს ვიმახსოვრებდით და რახან ვიმახსოვრებდით — ვიცოდით კიდეც, კარგად ვიცოდით. ისიც ვიცოდით რას წერდა გაზეთი „დროება" კულა გლდანელისა და ნესტორ ესებუას შესახებ, ამ ორი მოჭიდავის მომხრეთა დაკადაკაც საკუთრივ გვინახავს, კარგად გვახსოვდა აკაკი წერეთლის ლექსიც.

ძველები გვეუბნებოდნენ ჩვენი დროის ჭიდაობა ჯობდაო, ამის საწინააღმდეგო ახალგაზრდებსაც არაფერი გვქონდა, მაგრამ, როცა ერთხელ საქართველოს ფალავნობაზე ვიხილეთ სიმონ მაისურაძისა და ბათუ თედეევის ჭიდაობა — ეს მართლაც დაუვიწყარი სანახაობა — მტკიცედ ვიყავით დარწმუნებული, რომ ჩვენი დროის ჭიდაობაც არაფრით ჩამორჩებოდა ძველს...

მაგრამ ინტერესი ძველი ქართული ჭიდაობისადმი თბილისში და, თქვენ წარმოიდგინეთ, — ვერაზეც, ბოლო ხანებში საგრძნობლად მინელდა. კარგა ხანია კიროვის პარკში და მუშტეიდში არ აჭყივლებულა ზურნა, კარგა ხანია მოჭიდავეთა სახელები არავის აკერია პირზე.

ახალ დროს ახალი გმირები ჰყავს, მოდა იცვლება და ოდესღაც გამოჩენილი მოჭიდავის კამბეჩუას ბიოგრაფია დღეს მაინცდამაინც აღარავის აინტერესებს...

ერთი აღორძინება ქართულ ჭიდაობას დაახლოებით ამ სამი ათეული წლის წინ ჰქონდა, როცა ვაკესა და საბურთალოში სპორტის ეროვნულ სახეობათა სპარტაკიადები იმართებოდა, იყო ცხენბურთი, ისინდი, მარულა, ყაბახი და, რასაკვირველია, ქართული ჭიდაობაც. ბოლო ხანებში რეალური, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა ქართული ჭიდაობის აღორძინებისთვის და თუ ეს საქმიანობა არ შენელდა, თუ ქართულ ჭიდაობას არ გამოაკლდა ერთგული თაყვანისმცემლები, იქნებ, კიდევ დადგეს ის დრო, როცა ორი ვერელი კაცის შეხვედრისას ერთი იტყვის: უქმე დღეა, კიროვის პარკში მივდივარ ჭიდაობის საცქერლადო.

... მოგონებებმა გადაგვძალა მე და ჩემი პარტნიორი. გ. გელოვანი სინანულით აქნევს თავს:

— მგვიანი ხალხი ყოფილა ეს დაღესტნელები. თავიანთ ეროვნულ ჭიდაობას თვალისჩინივით უფრთხილდებიან, ყველაფერს აკეთებენ ბავშვები რომ არ დააცილონ დაღესტნურ ჭიდაობას და, აბა ნახე, რა ჩემპიონები ჰყავთ? განა შეიძლება ის ტოტი მოჭრა, რომელზეც ზიხარ?!

ჩვენ, როგორც საპატიო ვერელებს, სპორტის სასახლეში საუკეთესო ადგილები გამოგვიყო დირექტორმა, სარედაქციო დავალება არ გულისხმობდა თვით შეჯიბრების მსვლელობის, უშუალოდ ჭიდაობის აღწერას, ამიტომ მშვიდად ვუცქერდი ჭიდაობას და ჩავიწერე ზოგიერთი რამ რაც გ. გელოვანმა მითხრა:

— შეჯიბრება კარგადაა ორგანიზებული. რა თქმა უნდა, იგი ოდნავ თეატრალიზებულია, მაგრამ შეიძლება დღეს, როცა ახალგაზრდებმა და, რაც მთავარია, ბავშვებმა აგრერიგად მიივიწყეს ქართული ჭიდაობა, ასეთი „მაგნიტი" საჭიროც არის. თუ ამგვარ შეჯიბრებებს წესად აქცევენ, ჭიდაობის მოყვარულს მერე მარტო დოლისა და ზურნის ხმაც ეყოფა.

თანამედროვე მაყურებელი შეეჩვია ამომწურავ და თვალსაჩინო ინფორმაციას, რასაც სტადიონებზე და სპორტდარბაზებში აცხადებენ. საქართველოს აბსოლუტურ ფალავნობაზეც სრული ინფორმაცია უნდა იყოს. განა რას დაუშლიდა ელექტროტაბლოზე რომ მაფიოდ აღებეჭდათ მოჭიდავეთა გვარები, დრო, ქულები, არბიტრის ფიქსაცია. უწინ რომ მსაჯი ხელს გაიშვერდა და გვარს წაიბურტყუნებდა, ეს აღარ ყოფნის ახლანდელ მაყურებელს, მას სურს ყველაფერი ზედმიწევნით იცოდეს, ზუსტად ამიტომ ყოველგვარი ცნობაც ასე უნდა მივაწოდოთ, დღევანდელი ინფორმატორები კი ერთი და იგივე მოჭიდავეს ხან გორელად წარმოგვიდგენენ, ხან ქარელელად, ხანაც ხაშურელად. ხედავ, საჭიდაო სარბიელს არა აქვს საგანგებო ფერით აღნიშნული კუთხეები, ამიტომ ძნელი გასარკვევია, რომელი მოჭიდავეა წითელ მხარეს და რომელი — მის საპირდაპიროდ. ურიგო არ იქნება, თუ მოჭიდავეებს ეცმევათ სხვადასხვა ფერის ჩოხები, ვთქვათ ერთს თეთრი, ხოლო მეორეს — მუქი ფერისა. მაშინ საჭირო არ იქნება ფეხზე ბანტების გამობნევა. ბანტიანი კაცი ქართულ ჭიდაობაში?...

სამერმისოდ, როცა ასეთი დიდი მნიშვნელობის და მასშტაბის შეჯიბრება მოეწყობა, ჩემი აზრით, მაყურებლისთვის უნდა დამზადდეს პროგრამები. თუ ფეხბურთელთათვის კვირაში ორჯერ უშვებენ პროგრამებს, წელიწადში რამდენიმეჯერ ხომ შეიძლება ქართული ჭიდაობის მაყურებელსაც მივაწოდოთ შესაბამისი პროგრამა? საჭიროა კიდევ უფრო დაიხვეწოს მსაჯთა კოლეგიის მუშაობა, არბიტრების ჟესტიკულაცია გასაგები უნდა იყოს მაყურებლისთვის. რაც შეეხება მოჭიდავეებს, იგრძნობა, რომ მათ ქართული ჭიდაობით დაუწყიათ, შემდეგ ძიუდოზე ან სამბოზე გადაუნაცვლებიათ და ახლა „შეთავსებით" ისევ დაბრუნებიან ქართულს. წინააღმდეგი ვინაა, ქართული ჭიდაობა ის საფუძველია, საიდანაც უნდა აღმოცენდნენ კლასიკურ, ოლიმპიურ სახეობათა ჩემპიონები, მაგრამ ქართული ჭიდაობის წრეზე რომ გამოვა კაცი, მან ქართულად უნდა იჭიდაოს. აქაური შნო და ლაზათი, აქაური ფანდები და სისწრაფე სულ სხვაა, ეს ჩვენი სისხლხორცეულია.

ამაზე ვსაუბრობდით მე და ჭიდაობის ძველი მოტრფიალე გოგი გელოვანი სპორტის სასახლეში. ესაა მცირეოდენი კრიტიკული შენიშვნები, თორემ, სხვა მხრივ, ჭიდაობა შესანიშნავად იყო ორგანიზებული, რისთვისაც დიდი მადლობა უნდა მოვახსენოთ მის თაოსნებს, მსაჯებს, სპორტის სასახლის დირექციას.

**ზ. ქორქია.**

# სიტყვა მაყურებელს

**დარბაზში** მრავლად არიან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული გულშემატკივრები. მათი ცნობა არ გაგიჭირდება — ჭარმაგი თელაველი, ახმეტელი თუ საგარეჯოელი გლეხები, რომელთაც დიდი ხნის წინათ თავადაც უჭიდავიათ, რაღაც გამორჩეული მოლოდინით გასცქერიან ხალიჩას.

ეს სამოცდაათს მიტანებული კაცი **ივანე თედეევია**, იგი საგანგებოდ ჭიდაობის სანახავად ჩამოსულა ცხინვალიდან. როგორც თავად ბრძანა, ბავშვობიდანვე ქართული ჭიდაობის ტრფიალი ყოფილა.

— თქვენ თუ ჭიდაობდით? — ვეკითხები.

— რომ ვჭიდაობდი, იმიტომაც მიყვარს. წარმატებებით ვერ დავიტრაბახებ, მხოლოდ მწვანე მინდვრის მოჭიდავე ვიყავი, მაგრამ ჭაბუკური თავმოყვარეობა კი დავიკმაყოფილე. სულს რომ გივსებს და თავს კაცად გაგრძნობინებს, ასეთად ქართული ცეკვა და ქართული ჭიდაობა მიმაჩნია.

... ეს განმარტოებით მჯდარი თუშურქუდიანი მოხუცი კი მჭადიჯვრელი **იაკ მაისურაძეა.** ერთი თვე საავადმყოფოში წოლილა, ახლობლებისაგან გაუგია, სპორტის სასახლეში ქართული ჭიდაობა იქნებაო და არც დაფიქრებულა ისე წამოსულა.

— შემატყე, რო გლეხი ვარ და იმიტომ მოხვედი, შვილო? — თბილად მიღიმის იგი.

— ავადმყოფობამ რომ თავი გაგახსენოთ? — კითხვითვე ვპასუხობ.

— დღეს თუ ჩვენებური ბიჭები კარგად იჭიდავებენ, საერთოდ აღარ გავხდები ავად. ეჰ, სიჯიუტეს და გაუგონრობას რა ვუთხარი, თორემ რამდენი არ ვეხვეწე ჩემს ბიჭებს, ჭიდაობა ისწავლეთ, ამაზე კარგი რა არის-მეთქი... არა ქნეს... არა ქნეს და თავის თავს დააბრალონ, რაც სიამოვნება დაიკლეს...

სასახლის ერთ სექტორში თითქმის სულ საგარეჯოელი გულშემატკივრები სხედან. გიორგიწმინდელ **ოთარ კევლიშვილს** თავისი ხუთი წლის შვილიშვილი დათოც ჩამოუყვანია. დათუნა ჯერჯერობით თავის პატარა დაიკოს ეჭიდავება, დიდი რომ გავხდები, ნამდვილი მოჭიდავე ვიქნებიო, — მპირდება დათო ბიჭი.

—ვისაც გვიყურებ, შვილო, სულ გიორგიწმინდელები ვართ, — მეუბნება **გიორგი ხოხიტაშვილი.**

— მთელი სოფელი აქ ყოფილა, — კვერს ვუკრავ მოხუცს.



— ყველაზე მეტნი ჩვენები ჭიდაობენ და მაშ არ უნდა ჩამოვსულიყავით? ესენი რომ დაამთავრებენ, მერე ჩვენც უნდა ვიძიძგილაოთ... რა სანახავები ვიქნებით!.. მაგრამ გაზეთში ცუდად მაინც ნუ გამოგვიყვან, შვილო. საგარეჯო და ქართული ჭიდაობა რამ გაყო, ამიტომ რა ჩვენი ბრალია, თუ ყველაფერზე მეტად ეს დალოცვილი გვიყვარს...

სასახლეში უმალ იცნობთ ძველ ფალავნებს, ოთხმოცს მიტანებულ **ალექსანდრე ზერეკიძეს** და 83 წლის **დავით მარკოზაშვილს** (წარსულში დათა ხელთუბნელის ფსევდონიმით ცნობილს). ისინი ოციან წლებში თბილისის და საქართველოს არაერთგზის ჩემპიონები იყვნენ. რამდენ შეჯიბრებაში მიუღიათ მონაწილეობა? რამდენჯერ გაუმარჯვიათ: აღარც კი ახსოვთ, ერთადერთი, რაზეც გული ეთანაღრებათ, ის არის, რომ ქართული ჭიდაობა აღარ არის ისე პოპულარული, როგორც ათეული წლების წინ იყო.

**ნ. ჯოხარიძე.**

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე:** მიესალმებიან თავიანთი ფალავნის გამარჯვებას.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

# უძლიერესნი ბრძოლას აგრძელებენ

**დღეს** კაუნასში იწყება სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგი ტური, რომელშიც მონაწილეობენ ცსკა, კაუნასის „ჟალგირისი", მოსკოვის „დინამო", კიევის „სტროიტელი", თბილისის „დინამო", ლენინგრადის „სპარტაკი", მინსკის რტი და რიგის ვეფ-ი.

ამ ტურში თბილისის დინამოელებს ძნელი და დაძაბული ორთაბრძოლები ელით. ჩვენი კალათბურთელები ორ-ორჯერ შეხვდებიან ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონებს არმიელ სპორტსმენებს, ტურის მასპინძლებს, ლენინგრადის სპარტაკელებსა და მინსკის რტი-ს გუნდს. განსაკუთრებით ძნელი იქნება პირველი მატჩები — ჩვენს გუნდს ხომ 50-დღიანი საწვრთნელი პერიოდის მანძილზე არც ერთი საკონტროლო შეხვედრა არ გაუმართავს. ერთგვარ ფსიქოლოგიურ ბარიერს ისიც ქმნის, რომ პირველ შეხვედრას ისინი ყველაზე ტიტულოვან მეტოქესთან ცსკა-სთან ატარებენ.

კაუნასის ტურის შემდეგ საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი 8 უძლიერესი გუნდი ერთმანეთს შეხვდება საკუთარ და მეტოქის მოედანზე (თბილისის „დინამო" პირველ ასეთ მატჩს 11 იანვარს, შინ გამართავს ლენინგრადის „სპარტაკთან").

გთავაზობთ კაუნასის ტურში თბილისის „დინამოს" შეხვედრების კალენდარს:

21 **დეკემბერი** — ცსკა, **22 დეკემბერი** — „ჟალგირისი", **23 დეკემბერი** — რტი, **24 დეკემბერი** — „სპარტაკი", **26 დეკემბერი** — ცსკა, **27 დეკემბერი** — „ჟალგირისი", **28 დეკემბერი** — რტი, **29 დეკემბერი** — „სპარტაკი".

● ფეხბურთი

# „დინამო" და „ტორპედო" შეუდგნენ წვრთნას

**ამ დღეებში** გაიმართა თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების შეკრებები.

თბილისის „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე დინამოელთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა **ნ. ახალკაცმა** კოლექტივს წარუდგინა ახალი წევრები, გააცნო მოსამზადებელი პერიოდის გეგმები. დინამოელებმა გაიარეს სამედიცინო შემოწმება და შეუდგნენ ვარჯიშს.

გაიმართა, აგრეთვე, ქუთაისის „ტორპედოს" კოლექტივის შეკრებაც. გუნდის ახალი უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ა. ნორაკიძე** გუნდის წევრებს ესაუბრა უახლოესი სამზადისის შესახებ. ტორპედოელებმა გაიარეს სამედიცინო შემოწმება და დაიწყეს საწვრთნელი ვარჯიშები.

თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" სამომავლო გეგმებზე — ახალი სეზონისთვის სამზადისზე წერილს გამოვაქვეყნებთ ახლო მომავალში.

## თასი — ზოოტექნიკოსებს

**გასულ** შაბათს თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე გაიმართა უმაღლესი სასწავლებლების რესპუბლიკური თასის ფინალური მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ზოოტექნიკურ-სავეტერინარო და პოლიტექნიკური ინსტიტუტების გუნდები.

შეხვედრა მიმდინარეობდა მეტად საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში და დამთავრდა ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის ფეხბურთელთა გამარჯვებით, რომლებიც დაეუფლნენ საპატიო პრიზს.

# შეხვედრა თელავში

**კვირას,** 19 დეკემბერს თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში რაიონის საზოგადოებრიობის შეხვდა გამოჩენილ ქართველ მოჭადრაკეს, მსოფლიოს ექსჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს.

საღამო გახსნა რაიონის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარემ, პროფესორმა ნ. მალუძემ.

ნონა გაფრინდაშვილის მდიდარ სპორტულ-შემოქმედებით ცხოვრებაზე ილაპარაკა გაზეთ „ალაზნის განთიადის" რედაქციის პასუხისმგებელმა მდივანმა მერი გოგბაიძემ. სტუმარს მიესალმნენ სსრ კავშირის ვაჟთა 50-ე ჩემპიონატის (პირველი ლიგა) მონაწილე, მოსკოველი დიდოსტატი ე. ვასიუკოვი, დრამატული თეატრის დირექტორი კ. ქემაშვილი და თელაველი მოჭადრაკე გ. ელიოზიშვილი.

დასასრულს ნონა გაფრინდაშვილმა უპასუხა შეკითხვებს და ერთდროული თამაშის სეანსი ჩაატარა 10 დაფაზე.

**თ. რევაზიშვილი.**

# VIII სპარტაკიადისთვის მზადების ნიშნით

**რესპუბლიკის** სპორტულ ბაზებზე დამთავრდა პროფკავშირთა იმ დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების ტრადიციული სპარტაკიადა, რომლებსაც „განთიადის" საბჭო აერთიანებს. ეს ღონისძიება სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს მიეძღვნა და სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადისთვის მზადების ნიშნით ჩატარდა.

ბრძოლაში სულ 10 ნაკრები ჩაება. პროგრამაში იყო 7 სახეობა. განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების საწარმოთა ფიზკულტურელები და საერთო პირველობაც მათ დაიმსახურეს. ამ კავშირის მძლეოსნებმა და ველოსიპედისტებმა ყველას აჯობეს, ხოლო მსროლელებმა და მშთ კომპლექსის მრავალჭიდელებმა II ადგილები დაიკავეს.

სპარტაკიადაში მეორენი იყვნენ მეტალურგები, რომლებმაც მოიგეს მშთ მრავალჭიდელთა შეჯიბრება. ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკები III ადგილზე არიან. სამაგიეროდ მათ ბადალი არ ჰყავდათ ძალოსნობაში.

სამწუხაროდ, სპარტაკიადაში მონაწილეობას თავი აარიდა ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი საწარმოების კავშირის (თავმჯდომარე გ. გელაშვილი) სპორტულმა დელეგაციამ, რომელმაც, როგორც ჩანს, არც თავისი სპარტაკიადა ჩაატარა. არადა შარშან ამ კავშირის ფიზკულტურელები რესპუბლიკურ სპარტაკიადაში IV ადგილზე გავიდნენ.

**ნ. კორსავა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვემზადებით**
**სსრ კავშირის ხალხთა**
**VIII სპარტაკიადისთვის**

# ქალების კიდევ ერთი შემოწმება

## საქართველოს ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში

**ბათუმში** სამ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. ასპარეზობაში თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის 80-მდე სპორტსმენი ჩაება. მონაწილეთა შორის ყველაზე გამოცდილი იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი მაია ნადიბაიძე და პირველობის ფავორიტადაც ის ითვლებოდა. უნდა ითქვას, რომ ავადმყოფობის გამო ბათუმის სარბიელზე ვერ გამოვიდნენ რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენები: მსოფლიო ჩემპიონი ბურთით ვარჯიშში ირინე გაბაშვილი, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გუნდურ ვარჯიშში, საქართველოს თასის წლევანდელი მფლობელი ირინა ქემჩუქინა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გუნდურ ვარჯიშში ვალენტინა გონჩუკოვა და ნატალია რუტმანი.

მ. ნადიბაიძეს თავისი პრიორიტეტი უნდა დაემტკიცებინა თუმცა ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილ ტანმოვარჯიშეებთან ორთაბრძოლაში: ვიოლეტა დარბაიძე, ნინო გრიშაშვილი, მარიკა გოგოლაშვილი, ნინო ახატნელი და სხვები შემართებით და გამარჯვების დიდი სურვილით იბრძოდნენ.

მართლაც, მაიას უახლოესმა მეტოქემ ვ. დარბაიძემ შეჯიბრების დასკვნით დღეს ასპარეზობისას 0,15 ქულით გაუსწრო საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრს, თუმცა ეს გამარჯვების მისაღწევად საკმარისი არ აღმოჩნდა — მან სამი დღის ჯამში 69,775 ქულა დააგროვა, რაც მეორე შედეგი აღმოჩნდა. **69,975 ქულით საქართველოს 1982 წლის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მაია ნადიბაიძემ მოიპოვა.** მესამე იყო მარიკა გოგოლაშვილი (69,075).

ჯგუფურ ვარჯიშში პირველ ადგილზე გავიდა **საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი** (35,25). მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად **რუსთავისა** (32,85) და **აჭარის** ნაკრებმა (30,35) გუნდებმა დაიკავეს.

აქვე გვინდა შევნიშნოთ ისიც, რომ შეჯიბრებაზე მონაწილეთა უმრავლესობა სუსტად მომზადებული ჩამოვიდა. ამაზე მეტყველებს მათ მიერ ცალკეული ვარჯიშების დროს მიღებული დაბალი შეფასებები.

აი, რა თქვა საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა **ნელი სალაძემ:**

— საქართველოს თასის გათამაშებიდან დღევანდელ ჩემპიონატამდე სამ თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ ჩვენი ტანმოვარჯიშეების მომზადებაში ჯერჯერობით განსაკუთრებული წინსვლა არ იგრძნობა. მართალია, საქართველოს სპორტკომიტეტი ყოველნაირად გვეხმარება, მაგრამ დახმარება საქმეს ვერ უშველის, თუ თვითონ ტანმოვარჯიშეები არ მოინდომებენ და მეტის გაკეთებას არ შეეცდებიან. ზოგიერთი მათგანი (ამჯერად მათ გვარებს შეგნებულად არ დავასახელებთ) ცდილობს წვრთნისა და დასვენების თავისებური რეჟიმი შექმნას. ეს კი ყოვლად დაუშვებელია! რაც შეეხება აბსოლუტურ პირველობას, იგი საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადისათვის მზადების ნიშნით ჩატარდა. კიდევ ერთი შემოწმება რესპუბლიკის ნაკრების წევრებს ექნებათ ტალინში — ირინე გაბაშვილი, მაია ნადიბაიძე, ვიოლეტა დარბაიძე, ნინო გრიშაშვილი და ნატალია რუტმანი თავიანთ ძალებს მოსინჯავენ საკავშირო ტურნირზე — „ზღვის ქალწული“, სადაც ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები მოიყრიან თავს. ეს ასპარეზობაც საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იქნება...

— როგორ აფასებთ თქვენს გამოსვლას ბათუმის სარბიელზე და როგორია თქვენი სამომავლო გეგმები? — ვეკითხებით საქართველოს 1982 წლის აბსოლუტურ ჩემპიონს მაია ნადიბაიძეს.

— აბსოლუტური ჩემპიონის წოდების მოპოვება ყველა სპორტსმენისთვის საპატიოა და მათ შორის ჩემთვისაც, — თქვა მაიამ. — მართალია, გამარჯვება მახარებს, მაგრამ ჩემი გამოსვლით უკმაყოფილო ვარ. შემეძლო უკეთ მეასპარეზა. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მთავარია ხალხთა VIII სპარტაკიადაზე წარმატებას მივაღწიო. ვეცდები საუკეთესო ექვსეულში მოვხვდე. უკეთეს შემთხვევაში საპრიზო ადგილებისთვის ვიბრძოლებ. ჩემი მთავარი მეტოქეები ალბათ ირინა დევინა, დალია კუტკაიტე, ვენერა ზარიპოვა და სვეტლანა კუდინოვა იქნებიან.

— მაიას ყველა მონაცემები გააჩნია იმისათვის, რომ საკავშირო სპარტაკიადაზე სამეულში მოხვდეს, — ჩაერია ჩვენს საუბარში ნელი სალაძე. — ჩვენ დიდი ხანია მისგან ველით მაღალი რანგის შეჯიბრებებში წარმატებას, მაგრამ, როგორც ჩანს, დღევანდელი მომზადების დონე არ არის საკმარისი. აუცილებელია მეტი ვარჯიში და სპორტული რეჟიმის უფრო მკაცრად დაცვა.

საჭიროა, რომ სპარტაკიადამდე დარჩენილ დროში საქართველოს მხატვრულმა ტანმოვარჯიშეებმა ძალა და ენერგია არ დაიშურონ სპორტული ოსტატობის ასამაღლებლად.

**ვ. დანელია,**
**(„ლელოს“ სპეც. კორ.).**
ბათუმი.

* * *

**სურათებზე:** საქართველოს 1982 წლის აბსოლუტური ჩემპიონი მაია ნადიბაიძე ვარჯიშის დროს; ჯგუფურ ვარჯიშში გამარჯვებული საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი.

ავტორის ფოტოები.

● ცურვა

# დიდი სისწრაფე პატარა აუზში

**შვეციის** ქალაქ გეტებორგში დამთავრდა ევროპის თასის გათამაშება ცურვაში, რაც იმავ დროს კონტინენტის მოცურავეთათვის სეზონის დამთავრებას ნიშნავს.

შეჯიბრება, ტრადიციისამებრ, 25-მეტრიან აუზში გაიმართა. ქალთა პაექრობაში ყველას აჯობა გდრ-ის ნაკრებმა. ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა III ადგილი დაიკავეს. მათგან ყველაზე უკეთ იასპარეზა კამენსკ-ურალსკელმა ო. ტროიცკაიამ, რომელმაც გაიმარჯვა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში— 8.36,10.

ამჯერად ჩვენი ქალების გამოსვლა საკმაოდ წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან შარშან მათ IV ადგილი დაიკავეს, შარშანწინ — VI.

საბჭოთა კავშირის ვაჟთა გუნდი 1975 წლიდან მოყოლებული არ თმობს თასს, ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ვ. სალნიკოვმა, რომელმაც 1500 მეტრი თავისუფალი სტილით 14.37,60-ში გაცურა. „გზად“, 800 მეტრიან მონაკვეთზე 7.48,24 აჩვენა. ორივე შედეგი მსოფლიო მიღწევაა.

ლენინგრადელმა ვ. შემეტოვმა, ვილნიუსელმა რ. ჟულპამ, ჩელიაბინსკელმა ა. მარკოვსკიმ და კიეველმა ს. კრასიუკმა 4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში 3.39,82 აჩვენეს. „პატარა წყლისთვის“ ეს შედეგიც მსოფლიო მიღწევაა.

● ჭადრაკი

# კიდევ ორი ტური

**ტალინი,** 20 დეკემბერი (დეპეშით, „ლელოს“ სპეც. კორ.) სსრ კავშირის ქალთა 42-ე ჩემპიონატის XI ტურში კულიკოვამ მოუგო ტიტორენკოს, ეპშტეინმა ჯვათალიბეკოვას, მინოგინამ ლელჩუკს. გურიელი დამარცხდა ჩელუშკინასთან, ხუგაშვილი ჩეხოვასთან, არახამია კოზლოვსკაიასთან. ყაიმზე შეთანხმდნენ წერეთელი და ზაიცევა, ლიტინსკაია და პიარნპუუ.

მეორე დღეს მოჭადრაკეებმა დაამთავრეს გადადებული პარტიები. ჩეხოვამ მოუგო ზაიცევას, ხუგაშვილმა ჩელუშკინას, ზაიცევამ პიარნპუუს. დაზავდნენ იოსელიანი და მინოგინა.

XII ტურში გურიელმა მოუგო ხუგაშვილს, ლიტინსკაიამ წერეთელს და მინოგინამ ტიტორენკოს. დაზავდნენ ეპშტეინი და კულიკოვა. ხუთი პარტია გადაიდო.

12 ტურის შემდეგ ლიდერობენ ე. ეპშტეინი, მ. ლიტინსკაია — 7,5-7,5, ნ. იოსელიანი — 7 (2), თ. მინოგინა — 7, ა. ახშარუმოვა — 6,5 (2), ლ. ზაიცევა და ი. ჩელუშკინა — 6,5-6,5 (1-1).

**გ. მაჭავარიანი,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

# ბოლომდე მიიყვანეს...

**თელავი,** 20 დეკემბერი (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.). გუშინწინ სსრ კავშირის ვაჟთა 50-ე ჩემპიონატზე დამთავრდა გადადებული პარტიები.

უბილავამ, რომელსაც სამი პარტია ჰქონდა გადადებული, მხოლოდ ერთის დამთავრება შეძლო: მოუგო ზაიჩიკს. ორ-ორი პარტია დაასრულეს აგზამოვმა და ერმოლინსკიმ. პირველი დამარცხდა ცეშკოვსკისთან და დაუზავდა ლპუტიანს, მეორემ მოუგო გორელოვს და ქულა გაიყო ზაიჩიკთან.

ვაგანიანმა მოუგო იუდასინს, ლპუტიანმა ცეშკოვსკის, გორელოვმა ვასიუკოვს, გურგენიძემ ცეიტლინს, ანიკაევმა პეტროსიანს და შნეიდერმა ცეშკოვსკის. ყაიმზე შეთანხმდნენ ლუკინი და ცეიტლინი, პეტროსიანი და შნეიდერი.

გუშინ დილით დამთავრდა კიდევ ორი გადადებული პარტია. უბილავა დამარცხდა აგზამოვთან, ხოლო ერმოლინსკი და ცეიტლინი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ლიდერთა მდგომარეობა 12 ტურის შემდეგ: რ. ვაგანიანი — 9 ქულა, გ. ზაიჩიკი — 8, ა. შნეიდერი — 7,5 (1), ე. უბილავა — 7 (1), ს. ლპუტიანი, ვ. ჩეხოვი — 7-7, გ. აგზამოვი — 6,5 (1), ი. ანიკაევი, ლ. იუდასინი— 6,5-6,5.

● ძალოსნობა

# 5 მსოფლიო და 4 საკავშირო რეკორდით

**მოსკოვის** „იზმაილოვოს“ უნივერსალურ სპორტულ დარბაზში დამთავრდა სსრ კავშირის თასისა და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლებისათვის ბრძოლა.

100 კგ წონითი კატეგორიის ძალოსნებში გაიმარჯვა ვლადიმირელმა პ. კუზნეცოვმა. მან 402,5 კგ დააგროვა. ჩემპიონის მცირე ოქროს მედალი ატაცში მოიგო უკრაინელმა ი. დანდიკმა — 187,5 კგ, ხოლო აკვრაში ფრუნზელმა ვ. კულეშოვმა — 222,5 კგ.

110 კგ წონითი კატეგორიის ათლეტებში მსოფლიო რეკორდები დაამყარა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მინსკელმა ლ. ტარანენკომ. მან ატაცში 196 კგ აჩვენა, რაც ნახევარი კგ-ით უმჯობესია ი. ზახარევიჩის მსოფლიო რეკორდზე. რა თქმა უნდა, ამ ვარჯიშში ოქროს მედალიც მან მიიღო. აკვრაში ტარანენკომ მეორე მცირე ოქროს მედალი მოიპოვა — 240 კგ. ორჭიდში კი 435 კგ მოაგროვა, რითაც 2,5 კგ-ით დაამძიმა იმავე ზახარევიჩის მსოფლიო რეკორდი.

სუპერმძიმეწონოსანთა ასპარეზობაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა მოსკოველმა მასწავლებელმა ვ. მარჩუკმა. მან აკრა 260 კგ, რითაც კილოგრამნახევრით გააუმჯობესა კიეველ ა. პისარენკოს მსოფლიო რეკორდი. მარჩუკმა ორჭიდში 450 კგ მოაგროვა, რაც მეორე მიღწევაა ძალოსნობის ისტორიაში. აკვრაში ჩემპიონის მცირე ოქროს მედალი მარჩუკს დარჩა, ხოლო ატაცში სტოლიაროვს — 195 კგ.

ამრიგად, შეჯიბრებაზე დამყარდა 5 მსოფლიო და 4 საკავშირო რეკორდი. მიმდინარე წელს საბჭოთა ძალოსნებმა მსოფლიოს რეკორდების ცხრილში 41 შესწორება შეიტანეს.

**რედაქტორი ა. ზასილაია.**

**25 დეკემბერს,** 16 საათზე, ჭადრაკის რესპუბლიკურ სასახლეში (ლენინის ქ. 37, კიროვის სახ. პარკი) შედგება ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის ღია მეცადინეობა.

პროგრამაშია:

**შეხვედრა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთან, სსრკ სპორტის დამსახურებულ ოსტატთან, საერთაშორისო დიდოსტატთან ანატოლი კარპოვთან.**

გარდა უნივერსიტეტის მსმენელებისა, მოსაწვევი ბარათები გაიცემა ჭადრაკის მოყვარულებზე. ამისათვის ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადები.

**სახალხო უნივერსიტეტის საბჭო.**

## 27 დეკემბერს

**პროფსაბჭოს** მძლეოსნობის სასახლის სხდომათა დარბაზში გაიმართება ნსს „კოლმეურნეს“ რესპუბლიკური საბჭოს II პლენუმი.

დასაწყისი 12 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები —93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 09539